

II წლის დანახარჯი

მეორე წლის დანახარჯი შეადგენს სულ: 109 500 ლარს.

II წლის შემოსავალი.

მყარი საკვები ბაზის უკვე არსებულ პირობებში, ერთი სულის წლიური წველადობა იქნება 3 000-3 500 ლიტრი რძე. ავიღოთ საშუალოდ 3 300 ლიტრი რძე და გავამრავლოთ 95 სულზე. ე. ი. წლიური წველადობა იქნება 313 000 ლიტრი რძე.

ერთი კგ. ყველის მისაღებად საჭიროა 7,5 ლიტრი რძე.

$$313\ 000 : 7,5 = 41\ 733\ \text{კგ ყველი.}$$

$$41\ 700 \times 6,5 = 271\ 050\ \text{ლარი.}$$

95 სული მოზარდის საბაზრო ღირებულებად, რომლის წონა წონა იქნება 10-12 თვის ასაკში 250-280 კგ არის.

$$250 \times 3 = 750\ \text{ლარი.}$$

$$750 \times 95 = 71\ 250\ \text{ლარი.}$$

მოწეული მარცვლოვანი კულტურიდან, ნაწილი მოიხმარება ფერმაში საქონლის საკვებად, ხოლო ნაწილი გაიყიდება.

საეარაუდო გასაყიდი მარცვლის რაოდენობა იქნება 60 000 კგ.

1 კგ. ფასი - 50 თეთრი.

$$60\ 000 \times 0,50 = 30\ 000\ \text{ლარი.}$$

მეორე წლის საერთო დანახარჯი შეადგენს 109 500 ლარს.

შემოსავლების ჯამი შეადგენს 372 300 ლარს.

III წლის დანახარჯი.

მესამე წლის დანახარჯი იქნება მეორე წლის დანახარჯზე დამატებული 10% = 120 000 ლარი.

შემოსავლები ძროხების მეორედ მოგების შემდეგ.

მეორედ მოგების შემდეგ, ძროხების პროდუქტიულობა იზრდება ასაკის და წონის მატებასთან ერთად.

თუ პირველი მოგების შემდეგ ძროხა იწველება ჯიშიდან და გენეტიკური შესაძლებლობიდან გამომდინარე 60-70%, მეორე მოგების შემდეგ იწველება 80-90%.

აქედან გამომდინარე, წელიწადში 1 სულზე წველადობა შეადგენს 4 500 ლიტრ რძეს.

$$427\ 500 : 7,5 = 57\ 000 \text{ კგ ყველი.}$$

$$57\ 000 \times 6,5 = 370\ 500 \text{ ლარი.}$$

საქონლის, მოზარდის რეალიზაციიდან, ხორცის მაღალი ხარისხის გამო 1 კგ ცოცხალი წონის ფასი უდრის 3,5 ლარს.

$$280 \times 3,5 = 980 \text{ ლარი.}$$

$$980 \times 90 = 88\ 200 \text{ ლარი.}$$

მოსავლის ნაწილის რეალიზაციიდან 30 000 ლარი.

$$\text{სულ შემოსავალი } 488\ 700 \text{ ლარი.}$$

III წელს სულ დანახარჯი შეადგენს 120 000 ლარს.

შემოსავალი შეადგენს 488 700 ლარს.

IV წლის დანახარჯი.

მეოთხე წლის დანახარჯი მესამე წელთან შედარებით გაიზრდება 15 % და შეადგენს 138 000 ლარს.

შემოსავლები:

ძროხების III მოგების შემდეგ წველადობა 1 სულზე წელიწადში იქნება 5000 ლიტრი.

$$5\ 000 \times 90 = 450\ 000 \text{ ლიტრი რძე.}$$

$$450\ 000 : 7,5 = 60\ 000 \text{ კგ ყველი.}$$

$$60\ 000 \times 6,5 = 390\ 000 \text{ ლარი.}$$

მარცვლის გაყიდვიდან 30 000 ლარი

საქონლის სახორცედ გაყიდვიდან.

$$280 \text{ კგ} \times 3,5 = 980 \text{ ლარი.}$$

$$45 \times 980 = 44\ 100 \text{ ლარი}$$

მოზარდი საქონლის გაყიდვა სანაშენედ.

$$300 \text{ კგ} \times 5 = 1\ 500 \text{ ლარი.}$$

$$45 \times 1\ 500 = 67\ 500 \text{ ლარს.}$$

IV წელს სულ დანახარჯი შეადგენს 138 000 ლარს.

შემოსავალი შეადგენს 531 600 ლარს.

დასკვნა:

ყველა შემთხვევაში, ოთხი წლის ბოლოს ბიზნესს დაფარული აქვს ყველა ხარჯი და გადის მოგებაზე.

5.3. ბაზარზე კონკურენცია რძეზე და რძის პროდუქტებზე.

მაღალი ხარისხის ნატურალურ რძეზე, ფაქტიურად დღეისათვის კონკურენცია არ არსებობს, რძის არ არსებობის გამო.

ძლიერი მეურნეობები მერძეული მიმართულებით, საქართველოში თითქმის არ არის, ხოლო გლეხები ოჯახებში, ვერ აწარმოებენ იმდენ რძეს, რომ შექმნან კონკურენცია ბაზარზე.

ამის გარდა, გლეხებიდან კარდაკარ რძის შეგროვება არის ძალზედ შრომატევადი და ეკონომიურად ნაკლებმომგებიანი ვიდრე, მსხვილი მეურნეობებიდან რძის შეგროვება.

ამავე დროს, მეურნეობაში ზაფხულის პერიოდში, დაცული იქნება რძის შენახვის რეჟიმი მიწოდებამდე, რძის გამაცივებელი დანადგარების საშუალებით.

რძისგან დამზადებულ ხარისხიან, ცხიმოვან ნატურალურ ყველზე, რომელიც არის ძირითადი პროდუქტი რძის გადამუშავების შემდეგ, კონკურენცია არის ძალზე სუსტი.

ბაზარი ყველა მხრივ არის აუთვისებელი.

5.4. დარგის განვითარების პერსპექტივა.

მერძეული მიმართულებით მესაქონლეობის განვითარებას საქართველოში, აქვს უდიდესი პოტენციალი, საქმესთან სწორად მიდგომის შემთხვევაში.

ჩვენი ბუნებრივი პირობებიდან და გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, არის შესაძლებელი რომ, წელიწადის 12 თვიდან, საქონელი 7 თვის განმავლობაში საქონელი ვკვებოთ ბალახის მწვანე მასით, რაც არის იაფი და დიდი რაოდენობის რძის წყარო და ამავე დროს დიდი მოგებაც.

ეს ყველაფერი არის შესაძლებელი, მხოლოდ ერთ შემთხვევაში. თუ ეს დარგი განვითარდა არა მეჯვოგეობის სახით, არამედ საქონლის კურტურული მოშენებით რომელშიც გამოყენებული იქნება თანამედროვე მეცნიერული მიღწევები ამ დარგში.

ამისთვის საჭირო არის, მოიხსნას და დაითესოს მიწა სხვადასხვა სახის საკვები კულტურებით, რომელთა მოსავლიანობა არის მაღალი სათანადო მოვლა პატრონობის შემთხვევაში სახნავი მიწა. მიწის დასამუშავებლად ტექნიკა და შემდგომ მოყვანილი საკვები მასის ასაღები ტექნიკა.

ნოყიერი სარწყავი მიწა და სათანადო ტექნიკა არის აუცილებელი პირობა, რაც იძლევა მაღალი მოსავლიანობის 100% გარანტიას, ნათესის სათანადო მოვლის პირობებში.